თავდაჯერებულმა "ტოტენჰემმა" გაუძლო "დინამოს"

ინგლისის პრესა საკმაო ყურადღებას უთმობს 28 ნოემბერს თბილისში ადგილობრივ "დინამოსა" და ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპურს" შორის გამართულ უეფა–ს თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩს. აი, რას წერს ამ მატჩზე ლონდონის გაზეთი "მორნინგ სტარი" წერილში სათაურით "თავდაჯერებულმა "ტოტენჰემმა" გაუძლო "დინამოს".

"ტოტენჰემი", რომელიც ცუდად თამაშობს ინგლისის ჩემპინატში, იმ დღეს თითქოს ჩადგა ფორმაში და გაუძლო ძლიერ საბჭოთა გუნდს – თბილისის "დინამოს". ფრედ (1:1) ითამაშა მასთან უეფა–ს თასის გათამაშების მე–3 წრის პირველ მატჩში.

ლონდონელებმა, რომლებიც 1972 წელს ამ პრიზს ფლობდნენ და შემდეგი გათამაშების ნახევარფინალამდე მივიდნენ, დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს და მიაღწიეს იმას, რომ განმეორებით მატჩში, რომელიც 12 დეკემბერს "უაით ჰართ ლეინის" სტადიონზე გაიმართება, უკეთესი შანსები აქვთ.

საბჭოთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ბატონობდა მინდორზე, მაგრამ დინამოელთა შეტევებს სისტემატურად შლიდნენ, პირველ ყოვლისა, ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე პატ ჯენინგსი და "ტოტენჰემის" დაცვა, რომელშიც გამოირჩეოდა ცენტრალური მცველი მაიკ ინგლენდი.

მარცხენა გარემარბმა რალფ კოუტსმა 25–ე წუთზე დააწინაურა "ტოტენჰემი." მარტინ ჩივერსმა, რომელიც თავისთვის უჩვეულო უკან დახეული თავდამსხმელის როლში იყო, გვერდი აუარა ორ მეტოქეს, უკან გაუგორა ბურთი კოუტსს, ამ უკანასკნელმა 20 იარდიდან უძლიერესად დაარტყა და არავითარი იმედი არ დაუტოვა "დინამოს" მეკარე გოგიას.

"ლოკომოტივის" სტადიონზე მოსული "დინამოს" 50 ათასი ქომაგის წინააღმდეგ ლონდონელს მხოლოდ 43 გულშემატკივარი ჰყავდათ. ქართველები ისევ უტევდნენ ლონდონელებს, მაგრამ პირველ ტაიმში მაინც ვერ შეძლეს "ტოტენჰემის" არიერგარდის გარღვევა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ უფრო შეუპოვრად შეუტიეს მეტოქეს. ისინი უხვად "ამარაგებდნენ" ძმებ ნოდიებს, ასათიანმა და ყიფიანმა კი ნახევარდაცვის ხაზი დაიკავეს, ბოლოს თამაში შედარებით გათანაბრდა, მაგრამ 68–ე წუთზე ინგლენდმა პატარა შეცდომა დაუშვა და შესაძლებლობა მისცა ასათიანს დაახლოებით 10 იარდიდან კარში დაერტყა. ამ უკანასკნელმა ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენა.

ქართველები შეუპოვრად იბრძოდნენ მეორე გოლისთვის. და სამჯერ მათ უნდა გაეტანათ კიდეც ბურთი, მაგრამ კვლავ შესანიშნავად ითამაშა მეკარე ჯენინგსმა".

ლელო 7.12.1973 წ.